საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1335 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

„შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 3“-ის (ჩვეულებრივი ოპერაციები) და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 3“-ის (სპეციალური ოპერაციები) ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სესხების ფინანსური პირობების შესახებ

მოწონებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადება, „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 3“-ის (ჩვეულებრივი ოპერაციები) და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 3“-ის (სპეციალური ოპერაციები) ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკიდან მისაღები სესხების თაობაზე, შემდეგი ფინანსური პირობებით:

1. „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 3“-ის (ჩვეულებრივი ოპერაციები) შემთხვევაში:

სესხის ოდენობა - 50 მილიონი აშშ დოლარი;

სესხის ვალუტა - აშშ დოლარი;

სესხის ხანგრძლივობა - 15 წელი;

შეღავათიანი პერიოდი - 3 წელი;

ვალდებულების გადასახდელი - წლიური 0.15%;

საპროცენტო განაკვეთი - LIBOR + 0.50% (ფიქსირებული მარჟა).

2. „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 3“-ის (სპეციალური ოპერაციები) შემთხვევაში:

სესხის ოდენობა - დაახლოებით 50 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი SDR;

სესხის ვალუტა - SDR;

სესხის ხანგრძლივობა - 25 წელი;

შეღავათიანი პერიოდი - 5 წელი;

საპროცენტო განაკვეთი - წლიური 2%.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**